

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №1

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

21.01.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -**ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაძე, გრიგოლ მატარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 13-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 21 იანვრის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გიორგი ივანიაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მომხს: გიორგი ივანიაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. გიორგი ივანიაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს. ივანე მამფორია

5. „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“

მომხს. ნარგიზი ალფაიძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ვლადიმერ ჭვალაძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. რამაზ არველაძე

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. კობა ტოხვაძე

9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გელა ვარდოსანიძე

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. გელა ჩიკვაძე

11. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. ალექსანდრე ლილუაშვილი

12. საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“.

მომხს. ზვიადი კაპანაძე

13. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე;

მომხს. კობა მაღლაკელიძე

14. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. კობა ტოხვაძე

15. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 21 იანვრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ცვლილებები არის შემდეგი:

საკრებულოში იქმნება საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სია. დაუშვებელია ამ სიაში საკრებულოს რომელიმე ფრაქციის წევრთა ნაწილის შეყვანა. უმრავლესობის წევრთა სიაში მიეთითება ლიდერი, შესაძლებელია ამ სტატუსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამდებობასთან შეთავსება. საკრებულო ფრაქციას, უფრაქციო წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დატოვოს საკრებულოს უმრავლესობა. მისი დატოვოს შესახებ იგი აცნობებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას. თუ საკრებულოს უმრავლესობის წევრი ოპოზიციაში შემავალ ფრაქციაში გაერთიანდა , იგი უმრავლესობიდან გასულად ითვლება. საკრებულოს უმრავლესობის წევრებს უფლება აქვთ, საკრებულოს ბიუროს ნებისმიერ დროს წარუდგინონ საკრებულოს უმრავლესობის წევრთა განახლებული სია.საკრებულოს ის წევრი, რომელიც არ შედის საკრებულოს უმრავლესობაში, განეკუთვნება საკრებულოს ოპოზიციას.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ დებულებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით, საბჭოს სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N35 დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის , განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ და დამტკიცდეს ახალი დებულება. ამ დებულებაში ძირითადი ცვლილება არის ის, რომ დაემატა ტურიზმი და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 5999,1 ათასი ლარით და განსაზღვრულია 14749,1 ათასი ლარით, გადასახდელები გაიზარდა 8427,9 ათასი ლარით და განსაზღვრულია 17717,9 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება შეადგენს 2978.8 ათას ლარს.

შემოსულობებში ზრდა 5999,1 ათასი ლარი განაპირობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამიდან, ასევე საჯარო სკოლების ტრანსპორტირების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებამ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამოყოფილია თანხა რომელიც უნდა მოხმარდეს გაჭირვებულ ბავშვიან ოჯახებს პროგრამის შესაბამისად და წარმოადგინა ეს პროგრამა.

მომხსენებლის შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა დავით ხარძეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ თითქმის იგივე დახმარებას გასცემს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური. ამიტომ რომ არ მოხდეს დახმარების გაორება ვიმსჯელოთ შევიმუშაოთ სხვა პროგრამა და დავამტკიცოთ ისე. ამიტომ დროებით გადავდოთ ეს საკითხი.

ბიუროს წევრების მხარი დაუჭირეს დავით ხარძეიშვილის წინადადებას.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი არ განიხილონ საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა 2022 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა.

(დანართი N1)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა რამაზ არველაძემ წარმოადგინა ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ის საკითხები , რომელთა განხილვას გეგმავს მიმდინარე წელს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა. (დანართი N2)

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა ტოხვაძემ წარმოადგინა

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2022 წელში განსახილველი საკითხები. ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა.

(დანართი N3)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ვარდოსანიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2022 წელში განსახილველი საკითხები. ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეცხრე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა. (დანართი N4)

დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ალექსანდრე ლილუაშვილმა წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2022 წელში განსახილველი საკითხები. ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეათე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა. (დანართი N5)

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ალექსანდრე ლილუაშვილმა წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო 2022 წელის პირველ კვარტალში განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა სამუშაო გეგმა.(დანართი N6)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ (ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა 16 საპროექტო იდეის განაცხადი. მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ეს პროექტები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის კობა მაღლაკელიძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა ტოხვაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიის შემადგენლობაში შევიდა ცვლილება, ნატო დვალმა დატოვა კომისია და მის ნაცლად დაემატა თორნიკე ერისთავი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-15 საკითხთან დაკავშირებით ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის სხდომის დღის წესრიგი. (დანართი N 7)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე